გურჯაანის მაცნე

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №6(308) 2024 წ. 16-31 მარტი ფასი 1 ლარი

პრემიერისგან სრული მხარდაჭერა განსახორციელებელი პროექტების მიმართულებით

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე რეგიონებში სახელმწიფო რწმუნებულებსა და მუნიციპალიტეტის მერებს შეხვდა

მთავრობის მეთაურმა განხორციელებულ საკადრო ცვლილებებზე ისაუბრა და სახ-

ელმწიფო რწმუნებულებს და მუნიციპალიტეტების მერებს რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი ნიკოლოზ ტყემალაძე და შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული ლევან ხარაბაძე წარუდგინა.

შეხვედრაზე რეგიონებში მიმდინარე და დაგეგმილი პროექტები განიხილეს და ცალკეულ მუნიციპალიტეტებში არსებულ საჭიროებებზე იმსჯელეს. პრემიერ-მინისტრმა სახელმწიფო რწმუნებულებს და მუნიციპალიტეტების მერებს მიმდინარე და განსახორციელებელი პროექტების მიმართულებით სრული მხარდაჭერა აღუთქვა.

გუბერნატორებმა და მერებმა მთავრობის მეთაურისგან კონკრეტული დავალებები მიიღეს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე:

– მუსლიმი თემის პატივსაცემად გამართულ იფთარზე მათ ბედნიერება, კეთილდღეობა და წარმატებები ვუსურვე.

საქართველოს რელიგიური მრავალფეროვნება ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უმთავრესი სიმდიდრეა.

მუსლიმ თემს, ჩვენს განუყოფელ ნაწილს, დიდი წვლილი შეაქვს ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობაში და ჩვენს ძმობას ძალიან დიდი ისტორია უმაგრებს ზურგს.

საქართველო უნიკალური ქვეყანაა, სადაც ქართველი და აზერბაიჯანელი, შიიტი და სუნიტი მუსლიმები ერთსა და იმავე მეჩეთში ლოცულობენ. ჩვენთვის ძალიან ძვირფასია მშვიდობიანი თანაცხოვრების, ძმობის ეს ტრადიცია და ამას საქმითაც ვამტკიცებთ. სახელმწიფომ მუსლიმ თემს დღემდე გადასცა 237 მეჩეთი, გადასაცემად გამზადებულია კიდევ 20. სახელმწიფომ მუსლიმ თემს დაფინანსება გაუზარდა 4 150 000 ლარამდე და ეკონომიკური ზრდის კვალდაკვალ ეს მხარდაჭერა კიდევ უფრო მეტად გაიზრდება. საქართველოს რელიგიური მრავალფეროვნება ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უმთავრესი სიმდიდრეა. დღესაც, თანამედროვე ქართული სახელმწიფოს შენებისას, საზოგადოების ყველა ჯგუფს, ყველა რელიგიურ თემს, თითოეულ ინდივიდს უნდა ჰქონდეს განცდა, რომ ამ პროცესის სრულფასოვანი მონაწილეა და ამისთვის ჩვენ, სახელმწიფო, მომავალშიც ყველაფერს გავაკეთებთ.

იფთარზე შეკრებილ მუსლიმ თემს სიტყვით მიმართეს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო საგენტოს თავმჯდომარე ზაზა ვაშაყმაძემ, საქართველოს მუსლიმთა შეიხმა, ფაიგ ნაბიევმა, დასავლეთ საქართველოს მუფთმა, ადამ შანთაძემ და აღმოსავლეთ საქართველოს მუფთმა, ეტიბარ ემინოვმა.

მუსლიმი თემის პატივსაცემად გამართულ იფთარს სახელმწიფო მინისტრი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში, თეა ახვლედიანი, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები და სხვა ოფიციალური პირები დაესწრნენ.

„ნოვრუზ-ბაირამი“ მიულოცეს

***საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის მერი - **ავთანდილ გულიკაშვილი**, კახეთის მხარის რწმუნებულთან **გიორგი ალადაშვილთან**, მაჟორიტარ დეპუტატ – **დავით სონდულაშვილთან**, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე **ლია გიგაურთან**, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარე **ალექსი გილაშვილთან**, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან და საგარეჯოს რესურს-ცენტრის ხელმძღვანელ **ლელა ფანოზიშვილთან** ერთად სოფელ ლამბალოს საჯარო სკოლაში ნოვრუზ ბაირამის დღესასწაულისადმი მიძღვნილ ღონისძიებას დაესწრო.*

მოსწავლეებმა პერფორმანსის სახით წარმოადგინეს ტრადიციული დღესასწაულის მნიშვნელობა და შესთავაზეს სანახაობრივი კულტურული პროგრამა .

***ავთანდილ გულიკაშვილმა** აზერბაიჯანელ თანამოქალაქეებს დღესასწაული მიულოცა:*

“ზემო თანამოქალაქეებო, გილოცავთ ნოვრუზ ბაირამს და გაზაფხულის შემობრძანებას! დღეს, აქ იმისთვის ვარ, რომ ეს დღესასწაული მოგილოცოთ. მინდა მადლობა გადაგიხადოთ ამ ღონისძიებისთვის, შრომისთვის - პედაგოგებს, მოსწავლეებს, მშობლებს.

თითოეულ თქვენგანს, თქვენს ოჯახებს ვუსურვებ წარმატებას, ხვავსა და ბარაქას. ნოვრუზ ბაირამი ოჯახური დღესასწაულია და საქართველო, როგორც ერთიანი ოჯახი, თითოეული ჩვენი მოქალაქე, განურჩევლად ეთნიკური თუ რელიგიური კუთვნილებისა, ამ დღესასწაულის თანაზიარია.

ჩვენ, მრავალწლიანი მეგობრობა გვაკავშირებს, ერთი ქვეყნის შვილები ვართ. პირველ რიგში გვაერთიანებს სურვილი - გვქონდეს მშვიდობა და კეთილდღეობა”!

სასურსათო ამანათები სოციალურად დაუცველებს

საგარეჯოს *მუნიციპალიტეტის მერი* - **ავთანდილ გულიკაშვილი** *მოადგილესთან*, **გიორგი ლალიაშვილთან** ერთად ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსახლეობით დასახლებულ სოფლებს ესტუმრა, სოციალურად დაუცველ 250 ოჯახს სასურსათო ამანათი გადასცა და ადგილობრივებს სახალხო დღესასწაული - "ნოვრუზ ბაირამი" მიულოცა.

ქეთი გრატიაშვილი,
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის პრესსპიკერი

ინფრასტრუქტურა-2024

სკოლამდელი აღზრდის დაწესებებულების ახალი შენობა მალე გაიხსნება

კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულთან გიორგი ალადაშვილთან და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, მაჟორიტარმა ***დეპუტატმა* დავით სონღულაშვილმა** სოფელ იორმუღანლოში თანამედროვე სტანდარტებით აშენებული საბავშვო ბაღი დაათვალიერა.

ბაღი, ჯამში 180 ბავშვზეა გათვლილი და მისი გახსნა უახლოეს მომავალში იგეგმება, რომლითაც ადგილობრივი მოსახლეობა და მათი ოჯახები ისარგებლებენ.

კახეთის საავტომობილო გზა

კახეთის რეგიონში საგზაო ინფრასტრუქტურის 12 რეაბილიტაციის პროექტი და 4 ნაპირსამაგრი და სტიქიის პრევენცია-ლიკვიდაციის პროექტი ხორციელდება

პროექტების ფარგლებში, რეაბილიტაცია ჩაუტარდება 138 კმ. გზას, საიდანაც 110 კმ. გზის რეაბილიტაცია მიმდინარე წელსვე დასრულდება. რეაბილიტაციის პროექტების ჯამური ღირებულება 178 მილიონი ლარია. ჯამურად თექვსმეტივე პროექტის ღირებულება კი - 183 მილიონი ლარი

მათ შორის, რეაბილიტაცია უტარდება შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ვაზიანი-გომბორი-თელავის საავტომობილო გზის 33.6 კმ-იანი მონაკვეთს, სადაც, ამ დროისთვის, უკვე მოწყობილია ხელოვნური ნაგებობების 90% და 12 კმ-ზე მოწყობილია ასფალტის საფარი. პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან 66.7 მილიონი ლარით ფინანსდება

დასრულების ეტაპზეა შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ახმეტა-ბაწარას ნაკრძალის საავტომობილო გზის დუისი-ჯიბახევის 8 კმ-იანი მონაკვეთის რეაბილიტაცია. პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება და მისი ღირებულება 5.65 მილიონი ლარია

აქტიურად მიმდინარეობს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ახმეტა-თელავი-ბაკურციხის უშუალოდ თელავზე გამავალი საავტომობილო გზის 5 კმ-იანი მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოებიც. პროექტს 13.8 მილიონი ლარი მოხმარდება

რეაბილიტაცია უტარდება ასევე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სიღნაღის მუნიციპალიტეტთან დამაკავშირებელი ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზას. პროექტის ღირებულება 11.7 მილიონი ლარია

პროექტების დასრულება 2024 წელს იგეგმება და კახეთის რეგიონში, საავტომობილო გზებზე კომფორტულ და უსაფრთხო გადაადგილებას უზრუნველყოფს

22 მარტი წყლის რესურსების დაცვის დღეა

წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო კვირეულის ფარგლებში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით, ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში, სამუშაო ჯგუფებმა შერჩეულ ლოკაციებზე გამწვანების აქცია გამართეს.

აქციის ფარგლებში 150 ძირი სხვადასხვა სახეობის ნერგი სკოლებში, ბაღებსა და რეკრეაციულ ტერიტორიებზე მუნიციპალიტეტის მერმა **ავთანდილ გულიკაშვილმა** ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან და სკოლის მოსწავლეებთან ერთად დარგა.

გარემოს დაცვის კამპანიის ფარგლებში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მასშტაბით, მსგავსი აქციები ყოველწლიურად იმართება.

სასმელი წყალი სოფელი შიბლიანი

სოფელ შიბლიანში მოსახლეობის უწყვეტი წყალმომარაგების მიზნით, ჭაბურღილის რეაბილიტაციისა და მაგისტრალური მილსადენის მოწყობის სამუშაოები დაიწყო.

პროექტის ჯამური ღირებულება 844 996 ლარს შეადგენს, რომელიც ადგილობრივი ბიუჯეტიდან და რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ფინანსდება.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი **ავთანდილ გულიკაშვილი** მაჟორიტარ დეპუტატთან **დავით სონღულაშვილთან** ერთად მიმდინარე პროცესს ადგილზე გაეცნო.

სოფელ შიბლიანში, სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია-მოწყობის სამუშაოები მიმდინარე წლის ზაფხულში დასრულდება, რის შედეგადაც, ადგილობრივი მოსახლეობა უწყვეტი წყალმომარაგებით ისარგებლებს.

ქუჩები

სოფელი მანავი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი - **ავთანდილ გულიკაშვილი** პირველ მოადგილესთან - **ემზარ კუჭუაშვილთან** ერთად, სოფელ მანავში ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა და შიდა საუბნო ქუჩის მოასფალტების სამუშაოები მოინახულა.

აღნიშნული პროექტის სისრულეში მოყვანისთვის მოსახლეობამ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს მადლობა გადაუხადა და სოფლის სხვა საჭიროებებსა და პრიორიტეტებზე კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა შეხვედრა.

- ათეულობით წლის პრობლემა - ეს გახლდათ შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია და სასმელი წყლის საკითხი.

ჩემი და ჩემი გუნდის სამუშაო სტრატეგია სწორედ ამ ორი ძირითადი ამოცანის გადაჭრა გახლავთ.

***სასმელი წყლის პრობლემა აღნიშნულ სოფელში მოგვარებულია, დარჩენილია კონკრეტული მონაკვეთები და ამ მიმართულებით გრძელდება მუშაობა" - განაცხადა* ავთანდილ გულიკაშვილმა.**

სოფელი ნინოწმინდა

21-ე საუბნო ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოები დაიწყო.

პროექტი, რომელიც ადგილობრივი ბიუჯეტიდან და რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ფინანსდება, მუნიციპალიტეტის მერმა ადგილობრივი თვითთმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად ადგილზე მოინახულა.

ქეთი გრატიაშვილი,
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის პრესსპიკერი

ინფრასტრუქტურა-2024

პატარა ჩაილური

სოფელ პატარა ჩაილურში, შიდა საუბნო გზის მოწყობის სამუშაოები დაიწყო.

მუნიციპალიტეტის მერმა **ავთანდილ გულიკაშვილმა** ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელთან **ბექა ფეიქრიშვილთან** და სოფლის წარმომადგენელთან ერთად სამუშაოების მიმდინარეობა ადგილზე მოინახულა, კომპანიის წარმომადგენელს ესაუბრა და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებისკენ მოუწოდა.

„ ჩვენი მიზანია, მუნიციპალიტეტში ეტაპობრივად მოვაწესრიგოთ საგზაო ინფრასტრუქტურა.

პრიორიტეტად დავსახეთ სოფლის ცენტრალური მონაკვეთები და შიდა საუბნო გზები, სადაც არასდროს არ ყოფილა ასფალტის საფარი. სოფელ პატარა ჩაილურში, ეს გახლავთ ერთ-ერთი მჭიდროდ დასახლებული უბანი. მუნიციპალიტეტის სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებშიც პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს ინფრასტრუქტურული სამუშაოები. მაქსიმალურად ვცდილობთ, მოსახლეობას შევუქმნათ შესაბამისი პირობები. “ აღნიშნა **ავთანდილ გულიკაშვილმა.**

ახალი, მრავალფუნქციური სასტუმრო-კომპლექსი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა, ავთანდილ გულიკაშვილმა მოადგილეებთან ერთად ქალაქ საგარეჯოში, რუსთაველის ქუჩაზე ახლადგახსნილი სასტუმრო „ My Georgian Village” – დაათვალიერა. თანამედროვე სტანდარტებით აშენებულ 3 - სართულიან სასტუმროში 6 ადგილია, ჯამში შესაძლებელია 18 სტუმრის მიღება. მრავალფუნქციური სასტუმრო უზრუნველყოფილია პარკინგითა და თანამედროვე ტექნოლოგიებით, სპა და გამაჯანსაღებელი ცენტრით. გარდა ამისა, სასტუმროში განთავსებულია საკონფერენციო დარბაზი, რესტორანი, ბარი და ბიბლიოთეკა.

„ მრავალფუნქციური სასტუმრო კომპლექსი -ბევრი საინტერესო შეთავაზებით უნიკალური შთაბეჭდილებას შეუქმნის ნებისმიერ ვიზიტორს.

აღნიშნული პროექტი, უმნიშვნელოვანესია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ისტორიაში, რაც თავისთავად განაპირობებს ადგილობრივი მაცხოვრებლების დასაქმებას და ტურიზმის განვითარებას. მნიშვნელოვანია მისი გეოგრაფიული მდებარეობა ქალაქის ცენტრალურ ნაწილში. მინდა წარმატება ვუსურვო დამფუძნებლებს და ყველა ვიზიტორს სასიამოვნო მოგზაურობა - დაისვენონ ქალაქის ცენტრში და განახორციელონ წარმატებული ბიზნეს და ტურისტული ვიზიტები საგარეჯოში „ - განაცხადა **ავთანდილ გულიკაშვილმა.**

ჩვენს მუნიციპალიტეტში

კაცი-ლეგენდის არდასავიწყებელი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი, ავთანდილ გულიკაშვილი მოადგილეებთან და თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად მოქანდაკეებს შეხვდა და სპორტის ფალავნის - ლევან თედიაშვილის ბიუსტის პროექტის შესახებ იმსჯელეს. სავარაუდოდ, ლევან თედიაშვილის ქანდაკება

ქ. საგარეჯოში, სპორტული დარბაზის მიმდებარედ, არსენ მეკოკიშვილის ბიუსტის გვერდით განთავსდება.

სამუშაო ჯგუფის კონსულტაციების შემდგომ განისაზღვრება კრიტერიუმები ბიუსტის პროექტის შესაქმნელად და დაიწყება მუშაობა საუკეთესო ესკიზის შესარჩევად.

სიმბოლური საჩუქრები და ერთჯერადი ფულადი დახმარება

დაუნის სინდრომის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი, ავთანდილ გულიკაშვილი მუნიციპალიტეტში მცხოვრებ დაუნის სინდრომის მქონე ახალგაზრდებსა და მათ მშობლებს შეხვდა, საჭიროებებზე ესაუბრა და სიმბოლური საჩუქრები და ერთჯერადი ფულადი დახმარება გადასცა. ცნობიერების ამაღლების კამპანის ფარგლებში - კი სპეციალურად დამზადებულ საინფორმაციო სტენდთან ფოტოსესია მოეწყო.

ავთანდილ გულიკაშვილი სოფელ გომბორში მცხოვრებ ქალბატონს - **შორენა გახუტელაშვილს** ესტუმრა და დაბადების დღე მიულოცა.

„აღნიშნული მიმართულებით მუშაობა აქტიურად გაგრძელდება და დაუნის სინდრომის მქონე თანამოქალაქეთა სრულფასოვანი ინტეგრაციისათვის ქმედითი ნაბიჯები გადაიდგმება. ჩვენი მიზანია, ვიზრუნოთ მათი თვითრეალიზაციის პირობების შესაქმნელად“ - აღნიშნა **ავთანდილ გულიკაშვილმა**

მინი სტადიონი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მასშტაბით, მინი სტადიონების მოწყობის სამუშაოები გრძელდება.

სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების მიზნით, ადმინისტრაციულ ერთეულებში მინი სტადიონებისა და სპორტული დარბაზების მშენებლობა აქტიურად მიმდინარეობს.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა **ავთანდილ გულიკაშვილმა**, ***საკრებულოს თავმჯდომარესთან* ალექსი ბილაშვილთან** ერთად, სოფელ გიორგიწმინდაში ადგილობრივებს ახალი სპორტული სივრცის გახსნა მიულოცა და ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლებს სპორტული ინვენტარი გადასცა.

ქეთი გრატიაშვილი,
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის პრესსპიკერი

ტრადიციას არ ივიწყებენ „ბერიკაობა“

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲨᲘ *ერთხელ, ე.წ. ყველიერის კვირის ბოლო დღეს საგარეჯოს სოფლებში, დიდ და პატარა ჩაილურში მოსახლეობას ბერიკების ყიჟინა აღვიძებს. ეს დღეობა წელს 17 მარტს დაემთხვა.*

„ბერიკაობა“ სხვადასხვა ფორმით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და სხვადასხვა სოფელშია შემორჩენილი. თუმცა, დიდი ჩაილურის მოსახლეობა, რომელიც ამ დღეს განსაკუთრებულად აღნიშნავს, ამ ტრადიციას გაზაფხულის მოსვლას უკავშირებს. სწორედ ბერიკები არიან ისინი, ვის ხმაურსა და ჟრიამულსაც გაზაფხული მოჰყავს.

მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს დღესაც შემორჩა ხსოვნა, თუ რას ნიშნავს „ბერიკაობა“, თუმცა, დღეს უკვე სულ სხვა სახე აქვს მიღებული. კარგი იქნება, თუ ძველს გავიხსენებთ და აღვადგენთ...

მიმდინარე წლის 17 მარტს ჩვენი მუნიციპალიტეტის სოფლებში, პატარა და დიდ ჩაილურში უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი. ყველა ასაკის ადამიანს აქ უამრავი სანახაობა და გასართობი სივრცეები ელოდა. ტრადიციული „კაჩაია“, ხის ბოძებზე შ მოსკუპული საქანელები, ნახერხმოყრილ მოედანზე ქართული ჭიდაობა, ქადების გამოცხობა, ადგილობრივი მცხოვრებლების მიერ ხელით შექმნილი ნაკეთობები.

პატარა ჩაილურში ქართულ ჭიდაობაში გათამაშებული ორი პრიზიდან ერთი –ჭედილა მამულაშვილმა (აბსოლუტურში) მიიღო, ხოლო მეორე – ამირან დარბაისელმა (60 კგ წონითი კატეგორია)

დიდ ჩაილურში გათამაშებული ჭედილა ღირსეულ მოჭიდავეს ლევან ჟამერაშვილს ხვდა წილად.

ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ

ᲐᲓᲠᲔ გაზაფხულზე, ყველიერში, როდესაც ნუშის კვირტები იშლებოდა და ნორჩი ბალახით დაფარული მიწის სურნელება დადგებოდა, სოფლის მამაკაცები — ახალგაზრდები და მოხუცები —მოედნებზე, კალოებსა თუ სახლის ბანებზე შეიყრებოდნენ და გაზაფხულის სადიდებელი დღესასწაულის სამზადისს იწყებდნენ. აირჩევდნენ ბერიკაობის მონაწილეებს: მთავარ ბერიკას, ბერიკებს — ღორს, არაბს, ლეკს, თათარს, მღვდელს, ნათლიას, დედოფალს, მებარგულეებს, მეკალათეებს, მომღერლებსა და სხვადასხვა მუსიკალურ ინსტრუმენტზე დამკვრელებს. მათი რაოდენობა სოფლის სიდიდეზე იყო დამოკიდებული და ზოგჯერ 30-საც აღწევდა. ბერიკაობის მონაწილეებს წინა წლების გამოცდილების მიხედვით ასახელებდნენ, ხოლო ახალი წევრების არჩევისას თითოეული მათგანის უნარს ითვალისწინებდნენ.

შემდეგ მათი საკაზმის მზადებას შეუდგებოდნენ. რაღა არ იყო აქ საამისოდ მოტანილი — თხის, ცხვრისა და ხარის ტყავები, ტყავკაბები, საქონლის კუდები, გოგრის, ნაბდის, მუყაოსა და ქაღალდის ნიღბები, ღორისა თუ თხის გამხმარი თავები, სხვადასხვა ცხოველის რქები და ფრინველთა ბუმბულები, სადედოფლო ქართული კაბა და სხვადასხვა სახის თავსაბურავები, ფერადი ქაღალდები, ნაჭრის ჭრელი თოჯინები, ზარები და კრიალოსნები, ინა და ნახშირი, სიმინდის ნაქურჩის, ხისა და რქის წითლად შეღებილი „კონკილა“ — ფალოსები, ხისაგან გათლილი ხმალ-ხანჯლები, ფარები, და შურდულები. აქვე კეთდებოდა სხვადასხვა ფერის მაღალი ალმები და ჩირაღდნები. მიწაზე ეწყო სანოვაგის შესაკრები ჭრელი ხურჯინები, მორჩილი გუდები, კალათები, ხელადები და დიდი კოკები.

ეს სამზადისი სახელდახელო ლხინით, სიმღერითა და ცეკვა-თამაშით მთავრდებოდა. მესტვირე ბერიკულს უკრავდა. მოხუცები ძველ ბერიკაობაყეენობას, ცნობილ მესტვირეებსა და მოჭიდავეებს გაიხსენებდნენ, განთქმულ ბერიკა-ყეენსა თუ მესტვირეს ასახელებდნენ. ისმებოდა მათი მოსაგონარი და სადღეგრძელო. არც სოფლის საჭირბოროტო საქმეებს ივიწყებდნენ...

მეორე დღეს დღესასწაულის მონაწილენი მყუდრო ადგილას შეიკრიბებოდნენ და შესაფერისად მოირთვებოდნენ. ბერიკა ცხვრის ან თხის ტყავს, იშვიათად კი ცხვრის გადმობრუნებულ ტყავკაბას იცვამდა, რომელსაც უკან საქონლის კუდი ჰქონდა გამობმული. მას სახეზე ნიღაბი ეფარა. ტომარასავით გაკერილ უხეშ შავი ნაბდის ნიღაბს თავზე ორი გრძელი ყური და თხის ორი რქა ჰქონდა დამაგრებული. მათ შუა ჩითის ნაჭრის თოჯინა — კუკი ესკუპა. ნიღბის წვერ-ულვაში თხის ბალნით ირთვებოდა და თვალების, ცხვირისა და კბილების გამოსაჩენად გამოჭრილი იყო.

ქართლში ზოგან თხის ან ცხვრის გასუფთავებელი ტყავის მთლიანი და ნახევარნიღბები უხმარიათ, ზოგჯერ კი მათ მაგივრად თხის რქებს და თხის თავის ქალასაც იყენებდნენ.

იმერელი ბერიკა ტყავის, სამკუთხა ფორმის მაღალ ქუდ-ნიღაბს ან კვახაბერას სახელით ცნობილ აყიროსა და ხაპის ნიღბებს ატარებდა.

მთელ რიგ შემთხვევებში ბერიკა ნიღბის მაგივრად სახეს შავად იღებავდა, თხის წვერს იკეთებდა და თხისავე რქებს იმაგრებდა. ხშირად თავზე ჩალაბურდა შემოხვეულ და ეკლიანი ხის ტოტებით შემკულ ბერიკასაც შეხვდებოდით.

ბერიკას ხევსურები შემდეგნაირად რთავდნენ: „გაფხუჭვენ კაცს, შაამბენ ვაცის ყბათ, რქათაც დაუკეთებენ, შამბენ კუდს რაისასა...“

ბერიკას წელზე ქამარი ერტყა, რომელზედაც ხის, ძვლის ან რქის ფალოსი იყო ჩამოკიდებული.

დღესასწაულის მეორე მთავარი წევრი დედოფალი - „კეკელა“, რომელსაც ვაჟი ასახიერებდა, საპატარძლო ტანსაცმლითა და ჩიხტითა და ლეჩაქით ირთვებოდა. ბევრჯერ უნახავთ სოფლურ კაბაში ჩაცმული და ჭრელი ჩითის ნაჭრებით მოკაზმული დედოფალიც; მას თავზე თეთრი ან ფერადი შალი ჰქონდა მოხვეული. ქართლის ზოგიერთ სოფელში დედოფალს თავზე გვირგვინი ედგა, ხოლო ზოგან ფრინველის ჭრელი ფრთებით შემკული ქუდი ეხურა. კეკელას სხვადასხვა ფერის ქაღალდისა და შუშის მძივებს ჰკიდებდნენ, სახეს კი ფერადი საცხებლით უღებავდნენ. ზოგიერთი ცნობით, იგი გამურულიც ყოფილა.

ღორბერიკა ნიღბად ატარებდა ჯოხზე წამოცმულ გამხმარ ღორის თავს, ტანს კი ღორის ტყავით იფარავდა. იგი ზოგჯერ ტყავნიღაბსაც ხმარობდა.

Oარაბს, ლეკს, თათარს, რომლებიც ერთსა და იმავე ფუნქციას ასრულებდნენ დღესასწაულში და ამიტომ სხვადასხვა ადგილებში ერთმანეთს ენაცვლებოდნენ, ჩალის ქუდი ან ფაფახი ეხურათ, ჩოხა-ახალუხი ან რაიმე ძველმანი ეცვათ და ძონძები ეკიდათ. ისინი ყალიონს წევდნენ, ხელში დიდი ჯოხი ეკავათ და ყელზე ზარჩამოკიდებულები დადიოდნენ. ბერიკას მსგავსად ეს პირებიც ფალიურ ნიშანს იკეთებდნენ და სოფლის დარბევის მთავარ მონაწილეებს წარმოადგენდნენ.

ნათლია, რომელსაც დედოფლის დაცვა ევალებოდა თავდამსხმელებისა და მოტრფიალეებისაგან, ჩოხა-ახალუხში იყო ჩაცმული.

მღვდელს ანაფორის მსგავსი ტანსაცმელი ეცვა და ოლარი ეკიდა; იგი ხბოს ან თხის ტყავის წამოსასხამსაც ატარებდა და ხშირად თხის ბალნის წვერ-ულვაშით იყო მორთული. მას საცეცხლურის მაგიერ ხელში ეკავა ხბოს კუდი ან მოწნული ხის ჭურჭელი, რომელშიაც ცეცხლწაკიდებული ნაკელი ეყარა. აღსანიშნავია, რომ მთელ რიგ შემთხვევებში მღვდელი მამრობითობის გამომსახველი საგნით დადიოდა.

მებარგულეებსა და მეკალათეებს, რომელთაც პატარა ბიჭები ასახიერებდნენ, საგანგებო ტანისამოსი არ სცმიათ. თუმცა ხანდახან ნიღბებს ისინიც ატარებდნენ და სხვადასხვაგვარად ირთვებოდნენ.

მომღერალ-მუსიკოსებსაც ზოგჯერ მოთელილი თექა ან ტყაპუჭი და ნიღაბი უტარებიათ.

ბერიკა-ბეროლი და დღესასწაულის სხვა მონაწილენი როგორც კი მორთვა-მოკაზმვას დაამთავრებდნენ, ბუკისა და ნაღარის ხმა სოფელს მათ მზადყოფნას ამცნობდა. ბერიკებს წინ თავბერიკა და დედოფალი მიუძღოდათ, მათ ხის ხმლებით, ფარებით, ჯოხებითა და შურდულებით შეიარაღებული ამალა მოსდევდა. მესტვირენი, მეჩონგურენი, მეფანდურენი და სხვანი თავიანთ უნარსა და ოსტატობას აჩენდნენ. მესტვირე ბერიკულს მღეროდა. ბერიკულის დასაკრავად სტვირი განსაკუთრებულ მომართვას საჭიროებდა — იგი მაღალ ხმაზე უნდა დაეყენებინათ. ქართლში ყველა სოფელს თავისი „ბერიკული“ ჰქონდა. ბერიკად ნამყოფის გადმოცემით, „დიღმური ბერიკული მუხრანულზე უფრო კარგი მოსასმენი ყოფილა“.

ბერიკები კარდაკარ დაივლიდნენ სოფელს. ყველა სიხარულით ელოდა მათ; ეზოში შემოსულ მოთამაშეებს ოჯახის უფროსი შეეგებებოდა, მუხლმოყრილი თავის გაჭირვებას ეტყოდა და შველას სთხოვდა. აქვე, ეზოში, ბერიკა ჩონგურის ხმაზე ხტოდა და ხის ხმლით ხელში ცეკვავდა. ცეკვის დროს იგი დროდადრო ფალოსს მიწას უსვამდა, რითაც მასპინძელს ანიშნებდა — სურსათ-სანოვაგე გამოგვიტანეო, ამალა კი „ბერას“ ლექსს დასძახოდა:

„ბერიკაის კარსაო
გიჭყრიალებ თვალსაო,
ჩქარა თუ რას გამომიტან,
თორო გიმტვრევ კარსაო“.
ან
„ბერა მოდგა კარავსაო,
აბრიალებს თვალებსაო,
ხელი ჩაჰკარ ხალამშიო,
ღმერთი მოგვცემს ბარაქასო.
ვინცხა ბერას არას მისცემს,
მელას მისცემს მის ქათმებსო, ჰო!“
ან
„ადე, ადე, ადულაო, თეთრად გათენებულაო,
მთვარე მაღლა წამოსულა, მზე გორს დამშვენებულაო,
ერთი კვერცხი გამოგვიტა, მითომ გალაყებულაო“.

წინასწარ მომზადებული მასპინძელი ბერიკებს გულუხვად უმასპინძლდებოდა და ასაჩუქრებდა.

„მასპინძელს ყველა მზადა აქვს,
გველოდა დიდი ხანია,
გვითხრა: — რად დაიგვიანეთ,
მოვიდა შუა ღამია,
რამდენი ხანი გელოდეთ,
ვახშამი არ გვიჭამია.
გაგვიმასპინძლდა კარგადა,
ბერიკაზე აქვს თვალია“.

გამასპინძლების შემდეგ ბერიკებს ძღვენს — ხორცს, ფქვილს, პურს, ყველს, ერბოს, კვერცხებს, თაფლს, არაყსა და ღვინოს მიართმევდნენ; შეკრებილი სურსათ-სანოვაგე პატარა ბიჭებს — მებარგულეებსა და მეკალათეებს დაჰქონდათ:

„ბავშვებსა ჰკიდავ გუდები,
მასპინძლებზე აქვს თვალია,
გუდას მოიხდის, იძახის:
— ცოტა ფქვილ ჩაგვიყარია,
ყველი და ხაჭო ჩაგვიდეთ,
ხორციც მოგვეცით მალია,
ახალგაზრდები ყვირიან:
— არაყ ჩაგვისხით ცხარია“.

ბერიკები მასპინძლის ოჯახს ლოცავდნენ: „ღმერთო, მიეცი ამ ოჯახს ქონება და დოვლათი, რომ თვითონაც უკლებლივ ჰქონდეს და სხვისთვისაც გაიმეტოსო“. ისინი ზოგჯერ

დასასრული მე-6 გვერდზე

მუნიციპალური გვერდი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა

2024 წლის 29 მარტი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომას ამავე ***საკრებულოს თავმჯდომარე* ალექსი ბილაშვილი** უძღვებოდა.

სხდომაზე განხილული იქნა შემდეგი საკითხები:

1. „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **თინათინ ძაბილაშვილი,** თანამომხსენებელი **ელენე სამხთუაშვილი**

2. „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2024 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დახმარებებისა და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი **სოფიო შაძარაშვილი**, თანამომხსენებელი **ვეფხია უსტიაშვილი.**

3. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გადამზიდის და გადამზიდის თავსებადი ლაფეტის შ.პ.ს. „საგარეჯო“-სთვის თხოვების ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

მომხსენებელი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვის, ეკონომიკური დაგეგმვის და სტატისტიკის სამსახურის უფროსი სპეციალისტი **ლალი ზაბახიძე,** თანამომხსენებელი **არჩილ ნემსიაშვილი.**

4. 2024 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი **ბექა ფციქრიშვილი**, თანამომხსენებელი **ლევან როსტიაშვილი**.

5. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მარიამჯვარში სახელწოდების არმქონე ქუჩის არაბული ციფრის გამოყენებით სახელდების შესახებ.

მომხსენებელი ლევანი როსტიაშვილი

სოფლის მეურნეობა

მოსახლეობასთან შეხვედრები გრძელდება

კოჯბანში მოსახლეობასთან შეხვედრის დროს განხილული საკითხები

1. დანერგე მომავალი - პროგრამაში მონაწილე ყველა ფერმერს დაუფინანსდება ნერგების ღირებულების 70 % და წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობილობისთვის საჭირო ინვენტარის 50 % 1 ჰა, მაგრამ არა უმეტეს 2500 ლარი. ამასთან საყურადღებოა, რომ ფერმერს საკუთრებაში უნდა გააჩნდეს 0,5 ჰა მიწის ნაკვეთი მაინც, მაქსიმალური ზღვარი არის 50 ჰა.

2. აგროდაზღვევა - თანადაფინანსება ყველა კულტურაზეც და მათ შორის ვაზზე შეადგენს 70 %. მიწის ნაკვეთი აუილებლად დარეგისტრირებული უნდა იყოს. ამავე დროს ფერმერი დარეგისტრირებული უნდა იყოს ფერმერთა რეესტრში. სადაზღვევო პირობებია: 1. სეტყვა, 2. წყალდიდობა, 3. ქარიშხალი, 4. საშემოდგომო ყინვა.

მარცვლეულ კულტურებზე მაქსიმალური ფართობი 30 ჰა დანარჩენ კულტურებზე 5 ჰა. კოოპერატივებისთვის ფართობი შეუზღუდავია.

3. მეცხოველეობის განვითარებისათვის:

1. პროგრამის ფარგლებში შემუშავებულია ფერმის აშენება, რეკონსტრუქციის და აღჭურვისათვის საჭირო სახსრების მოძიება.

2. სესხის აღება, მაღალი პროდუქტიული მსხვილი ფერმების მერძეული, მეხორცული და კომბინირებული მიმართულების სანაშენე ფერმების მოწყობისთვის.

3. სასუქი მსხვილფეხა პირუტყვის სადგომის მოწყობისათვის.

4. მსხვილფეხა პირუტყვის მცირე ფერმერული მეურნეობების დაფინანსებისათვის.

5. მაღალპროდუქტიული მსხვილი ფერმის მოწყობისათვის გათვალისწინებული სესხის მოცულობა შეადგენს 5 მლნ ლარს. სესხის პროცენტის დაფინანსება შადგენს 11 %-ს 7 წლის განმავლობაში.

6. სასუქი მსხვილფეხა, პირუტყვის სადგომის მოწყობისათვის შესაძლებელია 1 მლნ. სესხის განხორციელება 11 % 4 წლის განმავლობაში.

4. ბიოწარმოების ხელშეწყობის პროგრამა.

სოფლის განვითარების სააგენტოს კახეთის რეგიონული სამსახურის საგარეჯოს საინფორმაციო–საკონსულტაციო ცენტრი (დირექტორი ნიკო ჯავახიშვილი) სოფელ კოჯბაანში, სოფლის მეურნეობით დაინტერესებულ პირებს შეხვდა, გააცანეს დღეს მოქმედი სოფლის მეორნეობის მიმართულების სახელმწიფო პროგრამები, გაუწიეს დარგობრივი კონსულტაციები, უპასუხეს დასმულ შეკითხვებს.

პროგრამა ითვალისწინებს:

1. ბიოწარმოების სერტიფიცირებას;
2. საკონსულტაციო მომსახურებას;
3. მევენახეობაში ორგანული სასუქების და მავნებელი დაავადებების წინააღმდეგ გამოსაყენებელი ბიოპრეპარატების შეძენას;
4. ფუტკრის სამკურნალო ბიოპრეპარატების შეძენა, მათ შორის ფიჭის;

საკონსულტაციო მომსახურება ან ლაბორატორიული ანაზღაურება განისაზღვრება 70 %, მაგრამ არა უმეტეს 7000 ლარით. თუ დონორი ორგანიზაციაა, მაშინ 4000 ლარით. მევენახეობაში 1 ჰა ფინანსდება არა უმეტეს 70 %, მაგრამ, არა უმეტეს = 7000 ლარათ.

5. საფუტკრეების შემთხვევაში ბიოპრეპარატები და ბიო ფიჭის შეძენა არა უმეტეს 70 %, მაგრამ ერთ სკაზე არა უმეტეს 50 ლარი. ჯამურად 5100 ლარი. დონორი ორგანიზაციის შემთხვევაში, არა უმეტეს 40 %, მაგრამ, ერთ სკაზე არა უმეტეს 25 ლარი. ჯამურად 2900 ლარი.

5. მალე დაიწყება მთიან რეგიონებში სახელმწიფო თანადაფინანსებით მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებების შეძენის პროგრამა.

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მაღალმთიან დასახლებებებში მცხოვრები პირების მიერ შესაძენი მცირე ზომის (7 ცხ-დან) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ღირებულების 70 %. თანადაფინანსების ლიმიტი განსაზღვრულია სიმძლავრეების მიხედვით და არ აღემატება 2500 ლარს. პროგრამის ჯამური ბიუჯეტი შეადგენს 5 მლ. ლარს.

პროგრამის მიზანია, ვინაიდან მაღალმთიან დასახლებებეში მოსახლეობას აქვს მცირე ზომის ნაკვეთები და არ არის ხელმისაწვდომი მობილურ მექანიზაციაზე, აღნიშნული ნაკვეთების დასამუშავებელად, ხელი შეუწყოს აღნიშნული ნაკვეთების დამუშავებას სხვადასხვა კულტურების მოსაყვანად.

ყურადღება – კონკურსი!

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური „დედა ენის“ დღესთან დაკავშირებით აცხადებს კონკურსს „ქართული კალიგრაფია“

კონკურსის მიზანი: ქართული დამწერლობისა და ქართული კალიგრაფიის პოპულარიზაცია, ხელით წერის კულტურისა და კონკურსანტების შემოქმედებითი უნარების განვითარება.

კონკურსის პირობები:

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეებს, შემდეგ ასაკობრივ ჯგუფებში:

1. VII - IX კლასი
2. X-XII კლასი

კალიგრაფიული ნაშრომების შეფასების კრიტერიუმები:

• კომპოზიციის სრულყოფილად აგება (ფურცლის ერთიანობაში აღქმა, მინდვრები, აბზაცები; წერის სტილისა და საწერი არეების ერთნაირად დაცვა დასაწყისიდან დასასრულამდე);

• ტექსტის ლამაზად და გარკვევით შესრულება, იმისათვის რომ კარგად იკითხებოდეს. კალიგრაფიული ტექსტის წერისას სასურველი არ არის ასო-ნიშნების ზედმეტი სტილიზაცია, დახრილობა;

• ასო-ნიშნების ზომისა და ფორმის ერთიანი სტილის დაცვა;

• ნაწერში ასო-ნიშნებისა და გადაბმების ხაზების სისწორე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

• დედნიდან მაქსიმალური სიზუსტით, შეცდომის გარეშე გადმოწერა;

• ტექსტისთვის კალმის ფერი უნდა იყოს შავი ან ლურჯი,

• საწერ საშუალებებს უზრუნველყოფს ორგანიზატორი;

• კონკურსანტმა შესაძლებელია ისარგებლოს საკუთარი საწერი საშუალებებით ორნამენტების, განსხვავებული ადგილებისა და საზედაო ადგილების გასაფორმებლად, სახაზავით, საშლელით.

კონკურსში გამოვლინდება 3-3 გამარჯვებული ორივე ასაკობრივი ჯგუფიდან; გაიცემა შესაბამისი ფულადი საჩუქრები:

I ადგილი - 600 (ექვსასი) ლარი
II ადგილი - 400 (ოთხასი) ლარი
III ადგილი - 300 (სამასი) ლარი

ნამუშევრებს განიხილავს და შეაფასებს მერის ბრძანებით დამტკიცებული ჟიური.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა გამოგზავნონ შემდეგი ინფორმაცია: სახელი, გვარი, სკოლა, კლასი, საკონტაქტო ნომერი, 2024 წლის 5 აპრილამდე, ელექტრონული ფოსტით, შემდეგ მისამართზე: კულტურა.საგარეჯო გმაილ.ცომ

კონკურსი ჩატარდება 2024 წლის 16 აპრილს, ქ. საგარეჯოს 3 საჯარო სკოლაში, 15:00 სთ.

საკონტაქტო პირები:
ანი ანუაშვილი - 591 70 12 70.
ნინო ქაიხოსროშვილი - 599 85 10 91;

ყურადღება

იცვლება პირადობის ძველი მოწმობები

„**საქართველოს** მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების თანახმად, 2024 წლის 1 ივლისიდან, უქმდება 2011 წლის 28 ივლისამდე გაცემული არაელექტრონული (ლამინირებული) პირადობის მოწმობები.

2024 წლის 15 მარტიდან იუსტიციის სამინისტრო არაელექტრონული (ლამინირებული) პირადობის მოწმობების მფლობელთათვის უზრუნველყოფს პირადობის ელექტრონული მოწმობებით (I ბარათით) უსასყიდლოდ ჩანაცვლებას.

2011 წლის 28 ივლისამდე გაცემული არაელექტრონული (ლამინირებული) პირადობის მოწმობის პირადობის ელექტრონული მოწმობით (I ბარათით) უსასყიდლოდ ჩანაცვლების მიზნით, მთელი ქვეყნის მასშტაბით მიმართეთ იუსტიციის სახლებსა და მობილურ იუსტიციის სახლებს.

ტრადიციას არ ივიწყებენ „ბერიკაობა“

დასასრული

სიმდერისა და ცეკვის დროსაც ილოცებოდნენ:

„გაუსვი ფეხი მაგრათა, თან მიაყოლე ხელები,
ამ სახლის პატრონს აევსოს პირამდე პურით ბეღლები“.

თუ ბერიკაობაზე მოსიარულენი ძღვენით უკმაყოფილონი დარჩებოდნენ, ბერიკა ან რომელიმე სხვა წევრი ეზოში გაგორდებოდა, რაც ოჯახისათვის ცუდი ამბავის მომასწავებლად ითვლებოდა. ხალხის რწმენით, მათი ყანები განადგურდებოდა, სახლში ხბო და ქათამი არ გაიზრდებოდა. ამას შეიძლება ოჯახის რომელიმე წევრის სიკვდილიც მოჰყოლოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა გულუხვად უმასპინძლდებოდა ბერიკათა ამალას, ისინი ამას არ სჯერდებოდნენ და იტაცებდნენ ყველაფერს, რაზედაც კი ხელი მიუწვდებოდათ. დარბევა არაბს, ლეკს ან თათარს და ღორს ევალებოდა, რასაც ხალხი სიხარულით ხვდებოდა; ბერიკების მიერ სასმელ-საჭმელის მოტაცება მათ ბედნიერებას უბედებდა.

მასპინძლები ცდილობდნენ მთავარი ბერიკასათვის ან თათრისა და მღვდლისათვის წვერ-ულვაშიდან ბეწვი ამოეგლიჯათ, რომელსაც საქონლისა და წიწილების გასამრავლებლად ბაგაში და საბუდარმი დებდნენ.

„გაგვიმასპინძლდა კარგათა, ბერიკაზე აქვს თვალია,
უნდა, რომ წვერი მოგლიჯოს, მისთვის ეს გასახარია;
ბერიკას მცველი გვერდს უდგა, ხელში უჭირავ ხმალია,
მასპინძელს ახლოს არ უშვებს, ეს არის მისი ვალია;

ცოტა წვერ თითონ მოგლიჯა, მასპინძელს მისცა მალია,
დალოცა მათი ოჯახი — გამატოთ ღონე-ძალია“.

სანოვაგით დატვირთული ბერიკების ამალა შემდეგ სხვა ოჯახს მიაკითხავდა და ასე მთელ სოფელს მოივლიდა. ბოლოს, დღესასწაულის მონაწილენი სიმდერითა და ცეკვა-თამაშით დანიშნული ადგილისაკენ წავიდოდნენ და შეგროვილ სურსათსაც თან წაიღებდნენ. როდესაც ბერიკაობის ყველა წევრი შეიკრიბებოდა, ბერიკა ხმამაღლა აცხადებდა, რომელი ოჯახიდან რა ჰქონდათ ნებით თუ ძალით წამოღებული.

ბერიკები მხოლოდ ერთი სოფლის დავლით არ კმაყოფილდებოდნენ. ისინი ახლობელ თუ შორეულ სოფლებსაც ესტუმრებოდნენ. მაგალითად, დიღმელი ბერიკები ლამისყანას, თეზს, ძალისს, ნატახტარს, მცხეთას, ქსოვრისსა და წილკანს მოივლიდნენ. ასეთივე გრძელი გზა ჰქონდათ მშველიეთელ ბერიკებსაც. ისინი მშველიეთიდან მიდიოდნენ ჭურთაში, გავაზში, მოჭალიეთში, ხარბალსა და მონასტერში, ბერიკები გზადაგზა ისვენებდნენ და ცეკვა-თამაშს მართავდნენ.

კარდაკარ სიარულისა და სურსათის შეგროვების დროსაც კი დღესასწაულის მონაწილეთა მთელი გულისყური დედოფლისადმი იყო მიპყრობილი. მაგრამ დედოფლის ხელში მოგდება არც ისე ადვილი იყო — ხის ხმლებით შეიარაღებული მცველები მას წამითაც არ აშორებდნენ თვალს. ყველაზე მეტად მაინც მთავარი ბერიკა გამოირჩეოდა, იგი დასდევდა დედოფალს, ეხვეოდა, კოცნიდა, მას ბევრჯერ დედოფლის კაბაც დაუხევია. ეროტიულ სურვილებს დედოფლისადმი ბერიკასთან ერთად დღესასწაულის სხვა მონაწილენი და მაყურებლებიც კი იჩენდნენ. „ვინც დედოფალს აკოცებდა, დოვლათიანი და ბედნიერი იქნებოდა“.

სოფლის მოედანზე ან დიდი სახლის ბანზე ნეფე-დედოფლის ქორწინების ინსცენირება ხდებოდა. ბერიკა ეალერსებოდა დედოფალს, ცოლობას სთხოვდა, საუკეთესო მამულებსა და ცხოვრებას ჰპირდებოდა. ალერსითა და დაპირებებით მოხიბლული დედოფალი თანხმდებოდა, რასაც ქორწილის სამზადისი მოჰყვებოდა ხოლმე. დედოფალს, ისევე როგორც ბერიკას, ჭრელი ნაჭრებით, ქაღალდებითა და ყურძნის ჯაგნებით მორთავდნენ და ჯვრის დასაწერად ორივეს ერთად ურმით ან ვირით წაიყვანდნენ. მექორწინეებს წინ „ჯვრის პურით“ ხელში ნათლია მიუძღოდა, მას მღვდელი, ხის ხმლებით შეიარაღებული მცველები და დღესასწაულის სხვა მონაწილენი მიჰყვებოდნენ. რომელიმე კარმიდამოს წინ ან მოედანზე ნეფე-დედოფალს მღვდელი ჯვარს დასწერდა. ქორწინება სიმღერით, ცეკვა-თამამით და ფერხულით მთავრდებოდა, რის შემდეგაც ბერიკა-ნეფესა და დედოფალს შორის სქესობრივი აქტის ინსცენირება ეწყობოდა. ამის მაყურებელი ხალხი ერთმანეთს დაერეოდა, ზოგი ქალებს მისდევდა, ზოგი განურჩევლად ყველას კოცნიდა და დამსწრეებს უწმაწური სიტყვებით მიმართავდა.

ზოგჯერ შეუღლების შემდეგ დედოფლის მცველები — თათარი ან არაბი — ნეფეს კლავდნენ. შეწუხებული დედოფალი თავის მეუღლეს დასტიროდა. მკვდარ ნეფეს სასაფლაომდე ტირილითა და გოდებით მიაცილებდა მთელი ამალა. ანდერძის ასაგებად ჯოხის ცხენზე ან ვირზე უკუღმა მემჯდარი მღვდელიც მიჰყავდათ.

საფლავთან დედოფალი სახეს იხოკდა და მოთქვამდა: „ბერიკო, ჩემო ბერიკო, შემოვიარე სოფლები, ის შენისთანა ვერ იყო“... მესტვირე სამგლოვიარო ჰანგზე ბერიკულს უკრავდა და მთელი ამალა სტვირის ხმაზე ტიროდა.

დღესასწაულის მონაწილენი დედოფალს ამშვიდებდნენ, უკეთეს ქმარს პირდებოდნენ, ეფერებოდნენ და კოცნიდნენ.

ამას ბერიკას გაცოცხლების ინსცენირება მოსდევდა. მას წყალს ასხამდნენ, სხვადასხვა სასუნებელს აყნოსებდნენ, სახეს დაუსრესდნენ და გააქან-გამოაქანავებდნენ — მის გაცოცხლებას ცდილობდნენ. ამასობაში თათარი ან არაბი დედოფალს იტაცებდა. როდესაც მკვდარ ბერიკას ჩასძახებდნენ — დედოფალი მოიტაცესო, ის ცოცხლდებოდა, ხის ხმლით ხელში თათარსა და მის მომხრეებს მისდევდა, იბრუნებდა მოტაცებულ დედოფალს და მასთან ხელმეორედ მეუღლდებოდა. ხმირად არა მარტო ბერიკა, არამედ დღესასწაულის თითქმის ყველა მთავარი მონაწილე კვდებოდა და ცოცხლდებოდა.

შემდეგ დღესასწაულის მოქმედმა პირებმა კვლავ კარდაკარ დავლა და სურსათ-სანოვაგის შეგროვება იცდნენ.

ბერიკების მსვლელობის დასასრულს მოედანზე კეტებითა და ხმლებით ხელჩართული ბრძოლა და ჭიდაობა იმართებოდა. დამარცხებულ მხარეს კვერცხებს უმტვრევდნენ ან შეგროვილ სურსათს ართმევდნენ. ამბობდნენ, „მოსავლის დოვლათიც გამარჯვებულთა სოფლებში დატრიალდებაო“.

დღესასწაული „საბერიკო სუფრით“ მთავრდებოდა; ლხინი საერთო ხარჯითა და შეგროვილი ნადავლით ეწყობოდა. იგი ზოგჯერ რამდენიმე დღესაც გრძელდებოდა ხოლმე. „საბერიკო ვახშამს“ შაირები, სიმღერა, ცეკვა-თამამი და ფერხული მოჰყვებოდა. დროსტარებით კარგად გულს რომ ოჯერებდნენ, ბერიკათა მეთაური ბერიკაობის მონაწილეებს გაამწკრივებდა და პირს აღმოსავლეთისკენ უზამდა. ისინი ღმერთს მადლობას შესწირავდნენ და შესთხოვდნენ — მომავალ ბერიკაობას უკეთესად შეგვახვედრეო.

სპორტი

გარეჯელმა „კლასიკოსებმა“ სპორტული წელი დაიწყეს

სულ ასე, წარმატებების გზით

ჯერ ერთი ათეული წელიც არ შერულებულა, რაც ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების“ ბაზაზე შეიქმნა ბერძნულ-რომაული ჭიდაობის სექცია, მაგრამ მისმა დამუძნებელმა, მწვრთნელმა თამაზი ყიფიანმა შეძლო იმაზე უკეთესი შედეგების ჩვენება, რასაც ამ სექციაზე უფრო „ასაკოვანი“ და უკეთეს პირობებში მოქმედი, საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილის ჭიდაობის ბევრი ანალოგიური სექციები ვერ აღწევენ. საქართველოს ჩემპიონებსა და პრიზიორებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, მისმა აღზრდილებმა ბევრი საერთაშორისო ტურნირზეც ისახელეს თავი და აკი შარშან მისი ნიჭიერი და პერსპექტიული მოსწავლე ლუკა მარტიაშვილი ბუდაპეშტში ევროპის ჩემპიონი და შემდეგ ბრაზილიაში ბავშვთა მსოფლიო თამაშებების ჩემპიონი გახდა ერთი და იგივე 75 კგ. წონით კატეგორიაში.

დადგა ახალი წლის ახალი სპორტული სეზონი და აი თამაზ ყიფიანი ახალი სასიხარულო ცნობით კვლავ ჩვენი რედაქციის სტუმარია. 18-19-20 მარტს გორში ჩატარებულ ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში საქართველოს ჩემპიონატში, 2009-2010 წლებში დაბადებული უფროსი ასაკის ჭაბუკებში, მისი აღსაზრდელი შოთა ტაბატაძე 85 კგ. წონით კატეგორიაში მეორე საპრიზო ადგილის და ვერცხლის მედალის მფლობელი გახდა.

– რა არის, თამაზ ჩვენი ბურდიანელი „კლასიკოსი“ სულ მეორე ადგილზე რომ გამოდის ხოლმე. თუ არ ეცდები, შარშანაც საქართველოს ჩემპიონატზე იგივე შედეგი ჰქონდა, - ვეკითხები თამაზს.

– კი, შოთა საქართველოს შარშანდელი ვიცე-ჩემპიონია. რაც შეეხება წლევანდელ მის შედეგს, მან ფინალში გადასასვლელ შეხვედრაში სუფთად დაამარცხა ლაშა გოგიტიძე, მაგრამ სამწუხაროდ, ფეხი (კოჭი) ამოიგდო და იმის გათვალისწინებით, რომ მომავალში სხვა, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ასპარეზობებია, რომლისთვისაც ფეხის დროულად მოშუშება და მომზადება რომ მოასწროს, ვურჩიე ფინალი აღარ ეჭიდავა.

– კერძოდ, რა ასპარეზობებია მოსალოდნელი?

– მოსალოდნელი კი არა, 16-21 აპრილს რუმინეთში ტარდება დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც საქართველოს ბერძნულ-რომაული ჭიდაობის ნაკრებიც გამოვა და როგორც ამ ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ჯემალი ბაკურიძემ საქართველოს ჩემპიონატში გამარჯვებულებთან ერთად დაასახელა შოთა ტაბატაძეც მიიღებს მონაწილეობას. აქედან გამომდინარე, თუ შოთა რუმინეთში კარგ შედეგს „დადებს“, იგი დაყენებული იქნება ევროპის მომავალ ჩემპიონატზე.

– თქვენი პირველი წარმატებული და ყოფილი მოსწავლის, ქერიმ მაჩალიკაშვილის ესტონეთში მიღწეული წარმატების შესახებ რას გვეტყოდით?

– ქერიმ მაჩალიკაშვილის მიღწევებიდან ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ის, რომ არის ევროპის ჩემპიონატის III პრიზიორი და ახლა უკვე დიდების ასაკში იცავს საქართველოს ნაკრების ღირსების და ესტონეთში ახლახანს გახდა აქ გამართული საერთაშორისო ტურნირის ბრინჯაოს პრიზიორი.

– თქვენი ნიჭიერი აღსაზრდელის საქართველოს, ევროპისა და მსოფლიო ბავშვთა ოლიმპიური თამაშების შარშანდელი ჩემპიონის, ლუკა მარტიაშვილის წლევანდელი გეგმები როგორია?

– ლუკას წლევანდელი უახლოესი გეგმებიდან ისაა, რომ 8-10 აპრილს ქალაქ ხაშურში ჩატარდება საქართველოს ჩემპიონატი 2007-2008 წლებში დაბადებულ მოჭიდავეთა შორის, სადაც იგი 80 კგ.წონით კატეგორიაში იჭიდავებს და უსათუოდ უნდა მოიგოს, რათა გზა გაეხსნას ევროპისა და სხვა მომავალი საერთაშორისო ასპარეზობებში მონაწილეობის მისაღებად, რასაც მისი შესაძლებლობიდან გამომდინარე დარწმუნებული ვარ იგი უსათუოდ შეძლებს.

– დიდი კონკურენცია იქნება საქართველოს ჩემპიონატზე და ვინ იქნებიან მისი ძირითადი მეტოქეები ჩემპიონატის ტიტულის მოსაპოვებელ შეხვედრაში?

– რა თქმა უნდა საქართველოს ჩემპიონობისთვის კონკურენცია და ბრძოლები უშედავათო იქნება. რაც შეეხება ლუკას ძირითად მოწინააღმდეგეებს ამ წონაში, ესენი არიან თბილისელი ალადაშვილი და აჭარელი კოჩალიძე, რომლებთანაც შეხვედრაში შოთას წინა წლებში დადებითი ბალანსი აქვს და ვფიქრობ არც წელს დაარღვევს ტრადიციას .

გივი დაბახიშვილი

ჩვენი მკლავჭიდელები მიღწეულზე არ ჩერდებიან



ეს ბოლო რამდენიმე წელია ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების“ მკლავჭიდის სექციის სპორტსმენებმა მტკიცედ დაიკავეს მნიშვნელოვანი ადგილი ჩვენი ქვეყნის მოწინავე მკლავჭიდელებს შორის. უფრო მეტიც = ევროპასა და მთელ მსოფლიოს აჩვენეს გარეჯული მკლავის ძალა.

წარმატებით დაიწყეს მწვრთნელ **მამუკა ბილანიშვილის** მკლავჭიდელებმა მიმდინარე წელი. 8-10 მარტს თბილისში, თბილისის ღია პირველობა 2024-ზე მათ არნახულ წარმატებას მიაღწიეს: 38 სპორტსმენიდან 28 საბაზო სამეულში შევიდა, საიდანაც 14 მარტო ოქროს სინჯის მედალია. აღსანიშნავია, რომ ამ 14 ოქროდან, ორი – სექციის გოგონა მკლავჭიდელზე - **მარიამ მახარაშვილზე** მოდის, რომელმაც ეს მედლები 15 წლამდე გოგონებში 70 კგ. წონით კატეგორიაში მოიპოვა.

15-17 მარტს კი ჩვენი მკლავჭიდელები თბილისში გამართულ მკლავჭიდში „2024 წლის ევროპის“ შესარჩევ შეხვედრაში დიდებში იღებდნენ მონაწილეობას. აქ **მოსე გორგილაძემ** მარჯვენაში - II, მარცხენაში კი = III საპრიზო ადგილი დაიკავა. **ოთარი საგინაშვილი** ჩემპიონი გახდა მარცხენა მკლავის გადაძალვაში. იგივე შედეგი აჩვენა მარჯვენა ხელში **ნუგზარი ჯიკაძემ.** თავის სპორტსმენებს არც მათი მწვრთნელი - **მამუკა ბილანიშვილი** „ჩამორჩა“ და ჩემპიონი გახდა მარჯვენა მკლავის გადაძალვაში.

ამით მათ საქვეყნოდ კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ტყუილად არ მოუპოვებიათ 2024 წლის „საუკეთესო გუნდის“, მამუკა ბილანიშვილს კი „ქვეყნის საუკეთესო მწვრთნელის“ ტიტულები და იმედია, რომ მათ წარმატებებს მალე ვიხილავთ ევროპულ სარბილზეც.

გივი დაბახიშვილი

ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექცია და ქალაქ საგარეჯოს II სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების (მენეჯერი მზია ბეჟიტაშვილი) თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ამავე დაწესებულების პედაგოგის

ნანა დიღმელაშვილი-ჟურხულის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ჭირისუფლებს.

ფეხბურთი

ოცნება რეალობაა! საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატზეა!!!

2024 წლის 26 მარტი - ეს დღე ქართული ფეხბურთის ისტორიაში სამუდამოდ ოქროს ასოებით დარჩება.

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა შეძლო ის, რასაც 30 წელზე მეტს ხანს მთელი ქვეყანა ელოდა და პირველად ისტორიაში ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გავიდა.

პლეი-ოფის ფინალში **ვილი სანიოლის** გუნდმა თბილისში, საოცარი ქომაგობის პირობებში საბერძნეთის ნაკრები დრამატულ ბრძოლაში, პენალტების სერიაში დაამარცხა.

ლუქსემბურგის მატჩთან შედარებით სანიოლმა ძირითად შემადგენლობაში ერთადერთი ცვლილება მოახდინა - ხვიჩა კვარაცხელია გიორგი მიქautაძის ნაცვლად.

თამაში გარდამავალი უპირატესობით წარიმართა, ორივე გუნდი რისკს ერიდებოდა, რაც ბუნებრივია, რადგან სასწორზე ძალიან ბევრი რამ იდო. პირველ ტაიმში გოლთან უფრო ახლოს საქართველოს ნაკრები იყო. ეს ტაიმის მიწურულს, როცა გიორგი ჩაკვეტაძის ჯარიმა ოდიესას ვლახოდიმოსმა ეფექტურ ნახტომში კუთხურზე მოიგერია.

მეორე ნახევარშიც სცენარი არ შეცვლილა: ბერძნები უფრო აკონტროლებდნენ თამაშის ტემპს, მაგრამ საქართველოს ნაკრები დაცვაში ძალიან კარგად თამაშობდა და მეტოქეს სახიფათო მომენტის შექმნის შესაძლებლობას პრაქტიკულად არ აძლევდა. საპასუხოს, არც სანიოლის გუნდს ჰქონია ძირითად დროში აშკარა საგოლე მომენტი. საბოლოოდ დამატებით დრო სრულიად ლოგიკურად დაინიშნა.

თამაშს საგარეჯოშიც დიდ ეკრანზე უყურებდნენ და გულშემატკივრობდნენ

შეიძლება პარადოქსია, მაგრამ ორივე გუნდს საუკეთესო შანსები სწორედ დამატებით დროში ჰქონდათ. ჯერ ბერძნებს: 102-ე წუთზე კონსტანტინოს მავროპანოსის თავურის შემდეგ საქართველო ხარიხამ იხსნა, რასაც 3 წუთში ვუპასუხეთ რეალური მომენტით. გიორგი მიქautაძემ მავროპანოსის პასი ჩაჭრა, საჯარიმოში შეიჭრა და კარგი პასი გაუკეთა ზურიკო დავითაშვილს, რომელმაც ერთი შეხებით დაარტყა, მაგრამ მეკარემ აჯობა. სანიოლის გუნდს მეორე დამატებით ტაიმშიც ჰქონდა გამარჯვების გოლის გატანის შანსი, მაგრამ ვლახოდიმოსმა ამჯერად გიორგი წიტაიშვილს აჯობა, რომელიც დრიბლინგის შემდეგ შეიჭრა საჯარიმოში და მახვილი კუთხიდან დაარტყა.

0:0 და ყველაფერი პენალტების სერიაში გადაწყდა. იქ კი, ქოჩორაშვილმა, დავითაშვილმა, დვალმა და კვეკვესკირმა ზუსტად დაარტყეს. მიქautაძემ ბურთი კარს აცილა, მაგრამ სამაგიეროდ, მამარდაშვილმა ბაკასეტასს აჯობა, იაკუმაკისმა კი არაზუსტად დაარტყა. გადამწყვეტი პენალტი კვეკვესკირმა უნაკლოდ შეასრულა და მთელი საქართველო ზეიმმა მოიცვა.

ზეიმი, რომელიც სრულიად დამსახურებულია - საქართველო ევროპის ჩემპიონატზეა!

ჩვენი მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში

კოჭბანის თემი

კოჭბანის თემი სოფლები: კოჭბანი, ოთარაანი, ბოტკო, ხინჭები იკვლივ გორანა შედის. სკოლამდელი ასაკის აქაური აღსაზრდელები იმ საბავშვო ბაღის შენობაში იკრიბებიან, რომელიც 2019 წელს აშენდა, დამშვენდა, ყველანაირი თანამედროვე მოთხოვნებისა და სტადნდარტების გათვალისწინების მიხედვით ჩადგა მწყობრში. შენობა 25 აღსაზრდელზეა გავლილი. პირველ წელს შენობა 12 აღსაზრდელმა აახმიანა, რომელთაც კარები მაშინ ბაღის მენეჯერმა და აღმზრდელ-პედაგოგმა **ეკა კოზმანაშვილმა,** აღმზრდელის თანაშემწემ **სოფიო მებარიშვილმა**, მზარეულმა **თამარ ბოგდიაშვილმა,** ექთანმა **მაია ხუციშვილმა**, დამლაგებელმა **ნინო გაბუნიამ** სიყვარულით და დედობრივი მზრუნველობით გაუღო.

მიმდინარე სასწავლო წელს კოჭბანის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებას (როგორც ახლა საბავშვო ბაღები ასეთი სტატუსით მოიხსენიება) 16 აღსაზრდელი ჰყავს. მათგან ყველაზე პატარები - 2 წლის ასაკისები გაბრიელ ქისტაური და დემეტრე წიკლაური არიან. სასკოლო ასაკისები კი - გელა გიგაური და გაბრიელ ჯეირანაშვილი. ახალ სასწავლო წელს ორივე ხელიხელჩაკიდებულები კოჭბანის საჯარო სკოლის შენობის კარს შეხსნიან, შევლენ საკლასო ოთახში და სასკოლო განათლების დაწყებითი საფეხურის პედაგოგ ინგა მამუკაშვილს მიანდობენ თავიანთ სწავლა-აღზრდის საპატიო საქმეს.

მანამდე კი გაბრიელი და დემეტრე თავის თანაჯგუფელებთან ერთად აღმზრდელ-პედაგოგს **შორენა მისრიაშვილს,** აღმზრდელის თანაშემწეს **დარეჯან ყაყიჩაშვილს**, მედიცინის დას - **მაია ხუციშვილს,** მზარეულ - **თამარ ბოგდიაშვილს,** დამლაგებელს - **მარიამ გიგაურს,** ჭურჭლის მრეცხავს - **ნინო ძისტაურს,** მეეზოვე **მაია წიკლაურს,** შენობის დარაჯს - **ზაზა ჩორხაულს** ყოველ დილას ესალმებიან და მათი მზრუნველობის ქვეშ მშვიდად გრძნობენ თავს.



დაწესებულების აღსაზრდელები დები - დალი და ნანული კუხიანები გომბორის თემის სოფელ ვაშლიანიდან დადიან, უჯარმის თემის სოფელ უჯარმიდან არიან ტყუპები = სალომე და საბა, მათი უფროსი ძმა - გაბრიელ ჯეირანაშვილები, თამარ მისრიაშვილი, ნინო და ნანული ტიტველაშვილები სოფელ კოჭბანის მკვიდრები არიან. კოჭბანის თემის სოფლის გორანის მცხოვრებნი არიან და - ძმა - მარიამ და დემეტრე წიკლაურები, ძმები მამუკა და ზურა წიკლაურები, სოფელ სასადილოდან - ქეთი ჩიტოშვილი.

აღსაზრდელების სოფლებიდან დაწესებულებამდე შემდეგ დაწესებულებიდან სახლამდე ტრანსპორტირებას ავტომანქანის მძღოლი ალექსი მამუკაშვილი უზრუნველყოფს.

კოჭბანის თემის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დღიდან ფუნქციონირებისა, მენეჯერია **ეკა კოზმანაშვილი,** რომელიც სოფელ ვერხვიანში დაიბადა, საშუალო სკოლა სოფელ ყანდაურაში დაამთავრა და შემდეგ თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტში გააგრძელა სწავლა. სწავლის დასრულების შემდეგ კი სხვადასხვა სამუშაო ადგილებზე მოუწია მუშაობა. ბოლოს კი, მეუღლესთან გოჩა გიგაურთან და ორ შვილთან ერთად კოჭბანში, მამა-პაპისეულ ფუძეზე დაბრუნდნენ და ხუთი წელია მთის შვილებს დედობრივ მზრუნველობას უწევს. მერე რა, რომ დაწესებულების მენეჯერია, ყოველ დღე ამ პატარებთან ერთად, შორენა მასწავლებელთან ერთად მღერის, ცეკვავს, სწავლობს და ასწავლის ლექსებს და ყველა ერთად ლამაზ დღეებს ჩუქნიან პატარებს.

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 23184601;
საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 300
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნე“-ში
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა შპს „კოლორ პრესს“-ში.
ტელეფონი: 599 851 143
ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com

რედაქტორი:
თინათინ ილაური